შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №4457

2018 წლის 1 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციაში“ (დანართი №1) განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

ა.ა) მე-13 მუხლის 43-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„43. გრაფა 49 „საწყობის დასახელება“ – პირველ ნაწილში აღინიშნება საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის საიდენტიფიკაციო კოდი, გრაფის მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის შენახვის ვადა დღეებში, ხოლო საქონლის დროებით შენახვის ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მიეთითება დროებით შენახვის საერთო ვადა დღეებში.“;

ა.ბ) 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გრაფა 49 „საწყობის დასახელება“ – გრაფის პირველ ნაწილში აღინიშნება საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის საიდენტიფიკაციო კოდი. საბაჟო საწყობში შენახულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემისას ახალი მესაკუთრის მიერ წარდგენილ დეკლარაციაში საბაჟო საწყობის საიდენტიფიკაციო კოდს ბოლოში ემატება – „/1„. გრაფის მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის შენახვის ვადა დღეებში, ხოლო საწყობის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის შენახვის ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მიეთითება შენახვის საერთო ვადა დღეებში.“;

ა.გ) მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის შიდა გადამუშავების ვადა დღეებში, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლამდე საქონელზე გადამუშავების ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მიეთითება გადამუშავების საერთო ვადა დღეებში.“;

ა.დ) 41-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. გრაფა 49 „საწყობის დასახელება“ – გრაფის მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის გარე გადამუშავების ვადა დღეებში, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლამდე საქონელზე გადამუშავების ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მიეთითება გადამუშავების საერთო ვადა დღეებში.“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) „ნაწილი 13. სამართალდარღვევათა კლასიფიკატორის“ მე-2 პუნქტის „ადმინისტრაციული სამართალდარღვევების“ „34“-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „35“ გრაფა:

„35	ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის/მძღოლის უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის გარეშე გადაადგილება (მუხლი 191^1)	B	P/N	1	9	1	1.”

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი **გიორგი თაბუაშვილი**